



**ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო**



გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 599

“ 22 ” ნოემბერი 2024 ♡

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა №19-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.917; №01.19.24.007.911; №01.19.24.007.908; №01.19.24.007.916 -ის ნაწილი) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 ოქტომბრის №24.1734.1956 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა №19-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.24.007.917; №01.19.24.007.911; №01.19.24.007.908; №01.19.24.007.916 -ის ნაწილი) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01242113842-67 (№01242553512-67; №01242712120-67; №0124275905-67; №01242814356-67; №01242831-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 24.1734.1956 16 / ოქტომბერი / 2024 წ.

ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა №19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: №01.19.24.007.917; №01.19.24.007.911; №01.19.24.007.908; №01.19.24.007.916 -ის ნაწილი) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 29 ივლისს №01242113842-67 (№01242553512-67; №01242712120-67; №0124275905-67; №01242814356-67; №01242831-67) განცხადებით მიმართა მარიამ დევნოსაძემ (პ/ნ: 01008011022) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა №19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: №01.19.24.007.917; №01.19.24.007.911; №01.19.24.007.908; №01.19.24.007.916-ის ნაწილი) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა №19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: №01.19.24.007.917; №01.19.24.007.911; №01.19.24.007.908; №01.19.24.007.916 -ის ნაწილი - 9296 კვ.მ.). საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია 81 888 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ).

საპროექტო ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №215 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი.

შემოთავაზებული წინადადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). ტერიტორიაზე განთავსდება სასაწყობე (90%) და მათი მომსახურებისთვის განკუთვნილი საოფისე შენობები, რომელთა პროცენტულობა არ აღემატება 10%-ს (ოფისი, დაცვის ჯიხური).

მიწის ნაკვეთის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი - 81 888 კვ.მ.

არსებული ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ)

საპროექტო ფუნქციური ზონირება - სამრეწველო ზონა 1 (ს-1) 75 256 კვ.მ; სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) 6632 კვ.მ.



სამრეწველო ზონა-1 (ს-1)

ნაკვეთი A-2-დან A-5-ის ჩათლით - კ-1 = 0.7; კ-2 = 0.7 ; კ-3 = 0,2

ნაკვეთი A-6 - კ-1 = 0.8; კ-2 = 1.1 ; კ-3 = 0,2

ნაკვეთი A-7 - კ-1 = 0.6; კ-2 = 0.6 ; კ-3 = 0,2

ნაკვეთი A-8 - კ-1 = 0.1; კ-2 = 0.2 ; კ-3 = 0,6

სატრანსპორტო ზონა (ტზ-1)

ნაკვეთი A-1 - კ-1 = - ; კ-2 = - ; კ-3 = 0,1

მიწის ნაკვეთების რაოდენობა - 8

სამშენებლო მიწის ნაკვეთების რაოდენობა - 7 (ს-1);

სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთების რაოდენობა - 1 (ტზ-1);

შენობა-ნაგებობების რაოდენობა - 18;

შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სართულიანობა/სიმაღლე- 3 სართული /17 მეტრი.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუწიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 1 ოქტომბრის №01242753872 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა

და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 8 ოქტომბრის №01242823565 წერილის შესაბამისად, სააგენტო აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა №19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: №01.19.24.007.917; №01.19.24.007.911; №01.19.24.007.908; №01.19.24.007.916-ის ნაწილი) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, № №01242113842-67 (№01242553512-67; №01242712120-67; №0124275905-67; №01242814356-67; №01242831-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა №19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: №01.19.24.007.917; №01.19.24.007.911; №01.19.24.007.908; №01.19.24.007.916-ის ნაწილი) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: **01242753872**
თარიღი: **01/10/2024**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრის №0124275905-67 განცხადება და დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია (№0124275973-67 - 01.10.2024), რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩის №19-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.19.24.007.911, 01.19.24.007.917, 01.19.24.007.916, 01.19.24.007.908; ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა; საპროექტო ფუნქციური ზონირება: სამრეწველო ზონა 1 და სატრანსპორტო ზონა 1) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი 40 ძირი (ს/კ: **01.19.24.007.917** - №19; 27; ს/კ: **01.19.24.007.916** - №113, 154, 155, 171, 172, 173, 174, 107, 108, 112, 116, 159, 160, 176, 177, 178, 218, 219, 220, 162, 245, 189, 190, 207, 209-213; 250; 217; 237; 18, 232, ს/კ: **01.19.24.007.911** - №4, 5, 6, 7) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11- 58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე მოსაჭრელი ჯანსაღი მწვანე ნარგავების რაოდენობა არცერთ საკადასტრო ერთეულზე არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

ასევე, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნების გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა მოიჭრას პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი **54 ძირი** (ს/კ: **01.19.24.007.917** - №1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 12, 14, 15, 16, 17, 18, 20, 21, 22, 24, 25, 26, 11, 13, 23, 28, 29, ს/კ: **01.19.24.007.916** - №22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 164, 248, 186, 238, 258, 169, 201, 202, 10, 11, 180, 239, ს/კ: **01.19.24.007.911** - №1, 2, 3, 8, 9) ჯანსაღი მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი/ხმოზადი/ავარიული/ფაუტი/გადაბერებული ხეებისაგან მოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას **2 ძირი** (ს/კ: **01.19.24.007.916** - №156,168) ხმოზადი/ზეხმელი მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **54 ძირი** მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს, შესაბამისად დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადარიგოს ზემოაღნიშნული **54 ძირი** (ს/კ: **01.19.24.007.916** - №119, 185, 187, 188, 240, 257, 158, 161, 205, 206, 251, 163, 199, 244, 253, 256, 260, 121, 165, 166, 194, 195, 203, 262, 13, 15, 109,

111, 179, 181, 182, 246, 193, 231, 259, 85, 208, 14, 86, 87, 110, 157, 191, 197, 198, 247, 249, 255, ს/კ: 01.19.24.007.911 - №10, 11, 12, 13, 14, 15) მწვანე ნარგავი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 16 ძირი (ს/კ: 01.19.24.007.916 - №167, 170, 196, 215, 252, 254, 114, 175, 241, 200, 204, 261, 115, 183, 184, 243) გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავი, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მათზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (არსებული/გადასარგავი: 104 ძირი, საპროექტოდ დასარგავი: 350 ძირი კაკვასიური ცაცხვი; 305 ძირი ჰიმალაის კედარი, ჯამში - 759 ერთეული) სრულად ითვინებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის სავალდებულო საანგარიშო ფართობს ($s-1 = 16\ 380\ m^2$).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, **სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეთანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.**

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ დეტალური პროექტირების ეტაპზე განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს იმგვარი დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა, რომელზეც დაკორექტირებული იქნება დასარგავი და არსებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიკური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული მჭამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01242823565

თარიღი: 08/10/2024

2024 წლის 7 ოქტომბრის N 01242814356-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა N19-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.19.24.007.911; 01.19.24.007.917; 01.19.24.007.916; 01.19.24.007.908) საწყობის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა და შეთანხმების წერილები (N 16-0124277706, 04/10/2024; MIA 2 24 03051750, 04/10/2024). გეგმარება შესაბამისობაშია ზემოხსენებულ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემასთან.

შესაბამისად, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი




A სექტორი - ფართობი 81888 მ²
 (01.19.24.007.916; 01.19.24.007.917,
 01.19.24.007.908; 01.19.24.007.911)


#	ნაკვეთის პირობითი #	მიწის ნაკვეთის ფართობი მ2
1	A-1	6632
2	A-2	10490
3	A-3	10405
4	A-4	10130
5	A-5	10035
6	A-6	21538
7	A-7	11493
8	A-8	1165
სულ		81888

პირობითი აღნიშვნები

- A-1** ნაკვეთის პირობითი ნომერი
- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- არსებული მიწის ნაკვეთის ნითელი ხაზი
- გამოჯვანების შებენი მიღებული მიწის ნაკვეთის ნითელი ხაზები
- საქართველოს სსრ-ის საერთაშორისო სისტემის კოორდინატები




პროექტის დასახელება	მონაწილე ძირითადი სპეციალისტები	ხელმოწერა	ეპსლიტაცია	შენიშვნა	ფორმატი	A3
განუხილვადი რეკონსტრუქციის გეგმა მიხედვით გეგმობრივად დასახული ნაკვეთები: 01.19.24.007.916; 01.19.24.007.917; 01.19.24.007.908; 01.19.24.007.911;	პრ.მთარქიტექტორი ნ.ხოსროშვილი პრაქტიკოსი ნ.ხოსროშვილი	<i>[Signature]</i>	ნაკვეთების განიჯვანების გეგმა	შენიშვნა	ფორმატი	A3
რამაფიტი:	შპს "თბილისი კონსტრუქციის სისტემა" U/A 208155798				სტატუსი	C
					ნაწილი	C.Z.L.FZ.1
					მასშტაბი	1:2500
					თარიღი	სურთ თარიღი



#	დასახელება	პარამეტრი
1	ნაკვეთის პირობითი #	A-1
2	მიწის ნაკვეთის ფართობი მ2	6632
3	მიზნობრივი დანიშნულება	არასასოფლო-სამეურნეო აეროპორტის შენობა
4	მეზობრივი შეზღუდვები	პერიფერიული
5	ტერიტორიული-სტრუქტურული ზონა	ტ-1
6	კონსტრუქციული ფუნქციური ზონა	სამშენებლოდ მუშაუდელი
7	სამშენებლო გამოყენების სტატუსი	გზა
8	უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობა და შემავალი ფუნქციები	აკრძალვა
9	კ1,კ2,კ3 ქალაქმშენებლობითი პარამეტრები	$k1 = - ; k2 = - ; k3 = 0.1, 664 \text{ მ2} ;$
10	მაქსიმალური სიმაღლე მიწისზევი	-
11	ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა	-
12	შენობა-ნაგებობების განთავსების წესი, სივრცითი განლაგებითი წყობა	გაერთიანება-დამჯება / მხოლოდ ანალოგიური ფუნქციის მქონე მიწის ნაკვეთთან
13	მიწის ნაკვეთის გაყოფა/გაერთიანების რეჟიმი	
14	რამდენიმე შენობის განთავსების რეჟიმი	

პროექტის დასახელება	ხელმოწერა	უკმაღავეს	შენიშვნა
განუხილვადი რეგულირების გეგმა ქ. თბილისი, მ. გრიგორაძის ქ. №19-ბი	<i>[Handwritten Signature]</i>	ლევალური რეგულირების	
პროექტის დასახელება	ხელმოწერა	უკმაღავეს	შენიშვნა
მონათლე ძირითადი სპეციალისტები			
პრ.მთ.არქიტექტორი			
სოს.არქიტექტორი			
პროექტორი			
სოს.არქიტექტორი			
ფორმატი			A3
სტადია			C
ნაბიჯი			C.Z.L.FZ.8
მაშტაბი			1:2500
თურქული			სურთ თურქული





პირობითი აღნიშვნები

A-1 ნაკვეთის პირობითი ნომერი
საპროექტო ტერიტორიის საზღვარი

გამოჯანის შეგუბად მოღებულ მინს ნაკვეთის ნითული ხაზები
განამუხანების რეგულირების ნითული ხაზები

UTM საერთაშორისო სისტემის კოორდინატები



პირობითი აღნიშვნები

A-1 ნაკვეთის პირობითი ნომერი
საჯროეკტო ტერიტორიის საზღვარი



— გამოჯანის შეგვიძლო მიღებული მონის ნაკვეთის ნითელი ხაზები

--- განამენიანების რეკულირების ნითელი ხაზები

UTM საერთაშორისო სისტემის კოორდინატები

# დასახელება		პარამეტრი
1	ნაკვეთის პირობითი #	A-3
2	მიწის ნაკვეთის ფართობი მ2	10405
3	მიზნობრივი დანიშნულება	არასასოფლო-სამეურნეო
4	გეგმარების შეზღუდვა ზონა	აეროპორტის შეზღუდვა
5	ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა	პერიფერიული
6	კონკრეტული ფუნქციური ზონა	ს-1
7	სამშენებლო გამოყენების სტატუსი	სამშენებლო
8	უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობა და შემავალი ფუნქციები	სასაწყობე 90%; საოფისე 8%; დამმარე-ტექნიკური შენობა-ნაგებობა 2% კ1=0,7, 6900 მ2; კ2=0,7, 7000 მ2; კ3=0,2, 2080 მ2;
9	კ1,კ2,კ3 ქალაქმშენებლობითი პარამეტრები	17 მ
10	მაქსიმალური სიმაღლე მიწისზევით	20 ღია ა/ს
11	ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა	შერეული
12	შენობა-ნაგებობების განთავსების წესი, სივრცით გეგმარებითი წყობა	გაერთიანება-ღამვება; გაყოფა-აკრძალვა
13	მიწის ნაკვეთის გაყოფა გაერთიანების რეჟიმი	ღამვება
14	რამდენიმე შენობის განთავსების რეჟიმი	ღამვება

პროექტის დასახელება	პროექტის დასახელება	შენიშვნა	ფორმატი	A3
განუგეგმვის რეგულირების გეგმა ქ.თბილისი, მ. გრიგორაშვილის ქ. №19-ბ	ეკსპლიკაცია	ღამვება	სტანდარტი	C
		ღამვება	ნაწილი	C.Z.L.FZ.8
			მაშტაბი	1:2500
			თარიღი	სკოთ თურაიძე



# დასახელება		პარამეტრი	
1	ნაკვეთის პირობითი #	A-4	
2	მიწის ნაკვეთის ფართობი მ2	10130	
3	მიზნობრივი დანიშნულება	არასასოფლო-სამეურნეო	
4	გეგმარების შეზღუდვა ზონა	აეროპორტის შეზღუდვა	
5	ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა	პერიფერიული	
6	კონკრეტული ფუნქციური ზონა	ს-1	
7	სამშენებლო გამოყენების სტატუსი	სამშენებლო	
8	უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობა და შემავალი ფუნქციები	სასაწყობო 90%; საოფისე 8%; დამმარე-ტექნიკური შენობა-ნაგებობა 2%	
9	კ1,კ2,კ3 ქალაქმშენებლობითი პარამეტრები	კ1=0,7, 6800 მ2 კ2=0,7, 7000 მ2; კ3=0,2, 2090 მ2;	
10	მაქსიმალური სიმაღლე მიწისზევით	17 მ	
11	ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა	16 ღია ა/ს	
12	შენობა-ნაგებობების განთავსების წესი, სივრცით გეგმარებითი წყობა	შერეული	
13	მიწის ნაკვეთის გაყოფა/გაერთიანების რეჟიმი	გაერთიანება-დაშვება; გაყოფა-აკრძალვა	
14	რამდენიმე შენობის განთავსების რეჟიმი	დამშენებ	

პირობითი აღნიშვნები

A-1 ნაკვეთის პირობითი ნომერი
საპროექტო ტერიტორიის საზღვარი

— გამიჯნის შეგვიანდ მიღებული მიწის ნაკვეთის ნიშნული ხაზები

- - - განაშენიანების რეგულირების ნიშნული ხაზები

UTM საერთაშორისო სისტემის კოორდინატები

პროექტის დასახელება	შენიშვნა	ფორმატი	ფორმატი
განუაზრებელი რეგულირების გეგმა ქ.თბილისი, მ. გრიგორაშვილის ქ. №19-ბი	უქსლები	სკანა	A3
		ნაშედი	C
		მასშტაბი	C.Z.L.FZ.8
		ფურცელი	1:2500
			სული ფურცელი

